ხელშეკრულება #GOG/ET/CW-108

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფ. დარჩელში Design-Build მეთოდით 90 მოსწავლეზე გათვლილი საჯარო სკოლის სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

2019.07.02 13:50:08 +04'00'

ერთის მხრივ სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი, ს.კ. 206074193; მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი #150 (შემდგომში შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი აღმასრულებელი დირექტორის გიორგი შენგელიას სახით და მეორე მხრივ ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობა "ელემენტ კონსტრაქშენ ენდ დიზაინ" ს.კ. 205376779; მის: ქ. თბილისი, მგალობლიშვლის ქ. #13 (შემდგომში - მიმწოდებელი) წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის ლევან ბერაძის (შემდგომში - მიმწოდებელი), შემსყიდველის მიერ გამოცხადებული NAT190007556 ელექტრონული ტენდერის შედეგების გათვალისწინებით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას ქ. თბილისში შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში _ „ხელშეკრულება“) _ შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელ ორგანიზაციას შორის დადებულ ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელზედაც მხარეთა შორის გაფორმდა ხელშეკრულება.

1.3. „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომში შემსყიდველი) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4. „მიმწოდებელი“ ნიშნავს პირს, რომელთანაც შემსყიდველმა გააფორმა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება და რომელიც ახორციელებს მომსახურების მიწოდებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5. „დღე“, კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

1.6. „პროექტი“ არის იმ მიზნებისა და ამოცანების ერთობლიობა, რომლებზეც ორიენტირებულია ეს ხელშეკრულება.

1.7. „შესრულებული სამუშაოების ანგარიში" (შემდგომში "შსა") - ნიშნავს სამუშაოს ან მისი ნაწილის შესრულების დამადასტურებელ დოკუმენტს.

1.8. „დეფექტი“ („ნაკლი“, „წუნი“) არის ნივთობრივად და უფლებრივად ნაკლოვანი ნივთი/ შესრულება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მიმწოდებელი კისრულობს ვალდებულებას, მიაწოდოს შემსყიდველს წინამდებარე ხელშეკრულების დანართით #2 (ტექნიკური დავალება) და ტექნიკური დავალების დანართებით (ტექნიკური დავალების დანართი #2-1 დეტალური სპეციფიკაციები და ტექნიკური დავალების დანართი 2-2 ზოგადი სპეციფიკაციები) გათვალისწინებული პირობების შესაბამისად ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე (ს/კ.43.25.42.002) სოფ. დარჩელის ერთი ხელშეკრულების ფარგლებში Design-Build მეთოდით 90 მოსწავლეზე გათვლილი საჯარო სკოლის შენობის დეტალური პროექტის მომზადება და მოზადებული დეტალური პროექტისა წინამდებარე ხელშეკრულების ხელშეკრულების დანართით #2 (ტექნიკური დავალება) და ტექნიკური დავალების დანართებით (ტექნიკური დავალების დანართი #2-1 დეტალური სპეციფიკაციები და ტექნიკური დავალების დანართი 2-2 ზოგადი სპეციფიკაციები) გათვალისწინებული პირობების შესაბამისად სამშენებლო სამუშაოები (CPV45214200), ხოლო შემსყიდველი კისრულობს ვალდებულებას მიიღოს მიწოდებული დეტალური საპროექტო დოკუმენტაცია და მის საფუძველზე შესრულებული სამუშაოები

და უზრუნველყოს ანგარიშსწორება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 1 689 881,00 (მილიონ ექვსას ოთხმოცდაცხრა ათას რვაას ოთხმოცდაერთი ლარი) ლარს.

3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ყველა ხარჯსა და მოსაკრებელს, რომელიც დაკავშირებული იქნება წინამდებარე ხელშეკრულების 2.1. პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგნის სრულფასოვანი მიწოდებისთვის.

3.3. საპროექტო მომსახურებისა და სამშენებლო სამუშაოების ჯამური ღირებულება და საერთო სახარჯთაღრიცხვო ღირებულება მოცემულია ხელშეკრულების დანართში N1 (ფასების ცრილი), რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

4. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები და მიწოდების ვადები

4.1. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები:

4.1.1. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები, გასატარებელი ღონისძიებები, საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შემადგენლობა, საპროექტო მომსახურებისა და სამშენებლო სამუშოების მიწოდების პირობები და მიმწოდებლისთვის დადგენილი სხვა მოთხოვნები, რომელიც აუცილებელი იქნება შესყიდვის ობიექტის მიწოდებისთვის მოცემულია ხელშეკრულების დანართში N2 (ტექნიკური დავალება) და დანართის N2 (ტექნიკური დავალება) დანართებში (ტექნიკური დავალების დანართი N2-1 დეტალური სპეციფიკაციები და ტექნიკური დავალების დანართი N2-2 ზოგადი სპეციფიკაციები).

4.1.2. მომსახურების მიწოდებისას მიმწოდებელმა უნდა გაითვალისწინოს საქართველოში მოქმედი სამართლებრივი აქტებით დადგენილი ყველა მოთხოვნა, რომელიც დაკავშირებული იქნება საპროექტო მომსახურებისა და სამშენებლო სამუშაოების გაწევასთან, ასევე მიწოდებული მომსახურება უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნული დადგენილ საერთაშორისო სტანდარტებსა და მოთხოვნებს.

4.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები:

4.2.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების საერთო ვადა შეადგენს 15 თვეს ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან, შესყიდვის ობიექტის მიწოდების ეტაპები და პირობები მოცემული არის ხელშეკრულების დანართში N2 (ტექნიკური დავალება). მათ შორის საპროექტო მომსახურების მიწოდების ვადა შეადგენს არაუმეტეს 4 თვეს ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან, საპროექტო მომსახურების ეტაპების ვადები, მათი წარმოდგენის პირობები მოცემული არის ხელშეკრულების დანართში N2 (ტექნიკური დავალება).

4.2.2. მიმწოდებელი ვალდებულია სამშენებლო სამუშაოები აწარმოოს დანართით N2 (ტექნიკური დავალება) გავალისწინებულ ჩართულ მხარეებთან და შემსყიდველთან შეთანხმებული დეტალური პროექტისა სამუშაოების მიწოდების კალენდარული გრაფიკის საფუძველზე.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1. ხელშეკრულების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე შემსყიდველი ახორციელებს კონტროლს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.

5.2. ხელშეკრულების მიმდინარეობის კონტროლის მიზანს წარმოადგენს:

5.2.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

5.2.2. საპროექტო მომსახურების ხარისხის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა, საპროექტო მომსახურების ეტაპების განხილვა-შეთანხმება, საპროექტო მომსახურებაზე მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება და ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება, მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში შესაბამისი ინსპექტირების დასკვნის შედგენა.

5.2.3. მიწოდებული სამუშაოს - ხელშეკრულების დანართებთან და დეტალურ საპროექტო დოკუმენტაციასთან შესაბამისობის დადგენა, შესაბამისი ინსპექტირების დასკვნის შედგენა

(აუცილებლობის შემთხვევაში), ფარული სამუშაოების კონტროლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), მიმწოდებლის მიერ შესრულებულ სამუშაოების ან მისი ნაწილის მოცულობისა და ღირებულების დადგენა, შსა-ს დამოწმება და ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება.

5.2.4. „მიმწოდებლის“ მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და დასაქმებული ძირითადი სპეციალისტების კომპეტენციის შესაბამისობის დადგენა განსახორციელებელ სამუშაოებთან მიმართებაში.

5.2.5. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ღონისძიებების განხორციელება.

5.3. „მიმწოდებელი“ ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს „შემსყიდველი“ კონტროლის პროცედურებისთვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ „შემსყიდველი’ პროცედურების განხორციელების მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, იგი თავად გასწევს ამასთან დაკავშირებულ ხარჯებს.

5.4. „მიმწოდებელი“ ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის პროცედურების შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის აღმოფხვრა.

5.5. საპროექტო მომსახურების მიწოდებაზე ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებს სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის საინჟინრო შეფასების სპეციალისტები (პროექტების შეფასების სამსახური) ლიანა ჩაჩხიანი და თემურ ქარენაშვილი.

5.6. სამშენებლო სამუშაოების მიწოდებაზე ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებს სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის ინჟინერი (მშენებლობის ზედამხედველობის დეპარტამენტი) რევაზ კვანტალიანი.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. საპროექტო დოკუმენტაციის მიღება-ჩაბარების პირობები:

6.1.1. საპროექტო მომსახურების ცალკეული ეტაპებისა და საბოლოო დეტალური საპროექტო დოკუმენტაციის მიღება განხორციელდება მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ გაფორმებული მიღება–ჩაბარების აქტის საფუძველზე.

6.1.2. საპროექტო მომსახურების მიწოდების პირობები, წარმოსადგენი დოკუმენტაცია და ცალკეული ეტაპების მიწოდების ვადები მოცემული არის ხელშკერულების დანართში N2 (ტექნიკური დავალება).

6.1.3. შემსყიდველის მხრიდან საპროექტო მომსახურების მიღება-ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირი არის სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის საინჟინრო შეფასების სპეციალისტები (პროექტების შეფასების სამსახური) ლიანა ჩაჩხიანი და თემურ ქარენაშვილი.

6.2. სამშენებლო სამუშაოების მიღება-ჩაბარების პირობები:

6.2.1. სამუშაოს ან მისი ნაწილის მიღება–ჩაბარება ხორციელდება შსა-ს საფუძველზე მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად შესრულებული სამუშოს ან მისი ნაწილის მოცულობის შესაბამისად.

6.2.2. შსა-ს დადასტურების მიზნით მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს წარუდგინოს მიწოდებული სამუშაოების მოცულობები ელექტრონულ ვერსიასთან ერთად.

6.2.3. ხელშეკრულების 5.6 პუნქტით განსაზღვრული პირი, შესრულებული სამუშაოს ხელშეკრულების დანართებთან (ტექნიკური დავალება და ტექნიკური დავალების დანართები) და საპროექტო დოკუმენტაციით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, ახორციელებს შესრულებული სამუშაოს შემოწმებას, განიხილავს მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილ შესრულებული სამუშაოების აქტებს, აუცილებლობის შემთხვევაში ადგენს შესრულებული სამუშაოს ან მისი ნაწილის ინსპექტირების აქტს, ამოწმებს სამუშოების მიწოდების

კალენდარული გრაფიკის მიხედვით სამუშაოთა მიმდინარეობას, ამოწმებს ფარულ სამუშაოებს, ასეთის არსებობისას.

6.2.4. იმ შემთხვევაში, თუ შესრულებული სამუშაო ან მისი ნაწილი შეესაბამება ხელშეკრულებისა და საპროექტო დოკუმენტაციის მოთხოვნებს, ხელშეკრულების 5.6 პუნქტით განსაზღვრული პირი ამოწმებს შსა-ს, პროცენტულად განსაზღვრავს შესრულებული სამუშაოების მოცულობას, სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის თანახმად განსაზღვრავს შესრულებული სამუშაოების ღირებულებას და ახორციელებს შესრულებული სამუშაოს ან მისი ნაწილის მიღებას, ხოლო თუ გამოვლინდება, რომ შესრულებული სამუშაო არ აკმაყოფილებს ხელშეკრულების მოთხოვნებს, შემსყიდველს უფლება აქვს არ მიიღოს სამუშაო ან მისი ნაწილი.

6.2.5. სამუშაოთა საბოლოო მიღება:

6.2.5.1. მიწოდებული სამუშაოს საბოლოო მიღება ხორციელდება კომისიური წესით, რომლის ფორმირების წესს და წევრებს განსაზღვრავს შემსყიდველი.

6.2.5.2. სამუშაოთა დასრულების შესახებ მიმწოდებელი წერილობით ატყობინებს შემსყიდველს და მიუთითებს თავისი წარმომადგენლის ვინაობას, რომელმაც მონაწილეობა უნდა მიიღოს შესმყიდველის მიერ განსაზღვრულ სამუშაოთა მიმღები კომისიის საქმიანობაში.

6.2.5.3. ხელშეკრულების 6.2.5.2. პუნქტით გათვალისწინებული შეტყობინებიდან არაუგვიანეს 30 კალენდარული დღის ვადაში სამუშაოთა მიმღები კომისია უზრუნველყოფს მიწოდებული სამუშაოს საბოლოო მიღებას, ობიექტური მიზეზების არსებობის შემთხვევაში წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული ვადა შეიძლება გაგრძლედეს შემსყიდველის გადაწყვეტილების საფუძველზე.

6.2.5.4. სამუშოს მიმღები კომისია მოწოდებულ სამუშაოს და ობიექტის დასრულების თაობაზე ხელისმოწერებით ადასტურებს საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტს.

6.2.5.5. შემსყიდველი ვალდებულია გონივრულ ვადაში, წერილობითი სახით, აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული სამუშაოს მოცულობისა და წუნდების მიზეზის მითითებით ასეთის არსებობის შემთხვევაში.

6.2.5.6. სამუშაოს მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

6.2.5.7. იმ შემთხვევაში თუ საბოლოო მიმღები კომისიის მიერ დადასტურდა, რომ შესრულებული სამუშაოები შეესაბამება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს სამუშაოს დასრულების ვადად ჩაითვლება ხელშეკრულების 6.2.5.2. პუნქტის შესაბამისად მიმწოდებლის მიერ სამუშაოთა დასრულების შეტყობინების თარიღი, ხოლო თუ საბოლოო მიღებისას გამოვლინდა, რომ ადგილი აქვს რაიმე სახის დეფექტს, ობიექტის მიღება განხორციელდება მიმწოდებლის მიერ დეფექტის აღმოფხვრის შემდგომ, ხოლო მიმწოდებელს დაეკისრება ხელშეკრულების 14.1.2.2. პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლო, სამუშაოთა დასრულების საბოლოო თარიღიდან დეფექტების აღმოფხვრამდე.

7. ანგარიშსწორების პირობები

7.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით მიმწოდებლის საბანკო ანგარიშის ნომერზე IBAN – GE 45TB 76 9833 6050 1000 02, სს „თიბისი ბანკი"; კოდი: TBCBGE22 ფაქტიურად მიწოდებული საპროექტო მომსახურების ღირებულებისა ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების ღირებულების შესაბამისად.

7.2. საპროექტო მომსახურებაზე ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა უფლებამოსილ წარმომადგენლებს შორის დეტალური პროექტის მიწოდებაზე გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის და მიმწოდებლის მიერ დადგენილი წესით საგადასახადო ანგარიშფაქტურის წარდგენის საფუძველზე, წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

7.3. სამშენებლო სამუშაოების მიწოდებისას ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება მხარეთა უფლებამოსილ წარმომადგენლებს შორის წინამდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად დადასტურებული შსა-

ს ან მიღება-ჩაბარების აქტისა და მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ელექტრონული საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე, წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

7.4. მიმწოდებლის არგუმენტირებული მოთხოვნის საფუძველზე შესაძლებელია საავანსო ანგარიშსწორება საქართველოში მოქმედი საფინანსო ინსტიტუტის მიერ გაცემული შემსყიდველთან შეთანხმებული შინაარსის უპირობო, გამოუთხოვადი წინასწარი ანგარიშსწორების (საავანსო) საბანკო გარანტიის წარმოდგენის საფუძველზე, რომლის მოქმედების ვადა უნდა შეადგენდეს არანაკლებ 17 თვეს ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან.

7.5. ავანსის მოცულობას და პერიოდულობას განსაზღვრავს „შემსყიდველი“ „მიმწოდებლის“ მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული მოთხოვნის საფუძველზე.

7.6. მიმწოდებლის მიერ საავანსო გადახდის მოთხოვნის შემთხვევაში ავანსის მოცულობისა და პერიოდულობის განსაზღვრის მიზნით შემსყიდველი უფლებამოსილია დამატებით მოთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი დაწესებულების მიერ დამოწმებული ინფორმაცია.

7.7. თეთრ სიაში რეგისტრირებული მიმწოდებელი უფლებამოსილია წარმოადგენოს წინასწარი ანგარიშსწორების (საავანსო გადახდა) საბანკო გარანტია საავანსო თანხის 50%-ის ოდენობით.

7.8. წინასწარი ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება მის მიერ შესაბამის თანხაზე საქართველოში მოქმედი საფინანსო ინსტიტუტის მიერ გაცემული წინასწარი ანგარიშსწორების (საავანსო) საბანკო გარანტიის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

7.9. წინასწარ ავანსის სახით გადარიცხული თანხის დაქვითვა განხორციელდება წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად დადასტურებული შსა-ს ან მიღება-ჩაბარების აქტისა და მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ელექტრონული საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე, შემსყიდველის მიერ გადახდის უწყისის დამოწმებიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

7.10. ხელშეკრულების 7.7. პუნქტში აღნიშნული შემთხვევისას თავდაპირველად განხორციელდება არაუზრუნველყოფილი საავანსო თანხის დაქვითვა სრულად, არაუზრუნველყოფილი საავანსო თანხის სრულად დაქვითვის შემდეგ წინასწარი ანგარიშსწორების (საავანსო) საბანკო გარანტიით უზრუნველყოფილი თანხიდან პარალელურად განხორციელდება არაუზრუნველყოფილი ავანსიდან სამშენებლო სამუშაოებზე დაქვითული თანხის პროპორციული ღირებულების დასაქვითი თანხის 5% დაკავება.

7.11. ყოველი მიწოდებული სამუშაოს ღირებულებიდან განხორციელდება საავანსო თანხის დაქვითვა შემსყიდველის მიერ ყოველ ეტაპზე განსაზღვრული პროპორციით.

7.12. ყოველი მიწოდებული სამუშაოს ღირებულებიდან განხორციელდება შესრულებული სამუშაოს ღირებულების 5%-ის დაკავება სამუშაოს ხარისხის დაცვის უზრუნველსაყოფად. დაკავებული 5%-დან 2.5%-ის დაბრუნება განხორციელდება სამუშაოს სრულად დასრულებისა და შემსყიდველის მიერ შექმნილი სამუშაოთა მიმღები კომისიის მიერ შედგენილი საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ. შესრულებული სამუშაოს ღირებულებიდან დაკავებული თანხის დარჩენილი 2.5%-ის დაქვითვა განხორციელდება დეფექტების პასუხისმგებლობის პერიოდის (საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტით გათვალისწინებული სამუშაოთა დასრულების თარიღიდან 365 კალენდარული დღე) დასრულებისა და დეფექტების პასუხისმგებლობის პერიოდში დეფექტების არარსებობის შესახებ სპეციალური კომისიის მიერ შედგენილი აქტის საფუძველზე.

7.13. იმ შემთხვევაში თუ სხვადასხვა მიზეზის გამო მიმწოდებელი ორგანიზაცია ვერ უზრუნველყოფს ან უარს აცხადებს დეფექტების პასუხისმგებლობის პერიოდში

დაფიქსირებული ნაკლოვანებების აღმოფხვრაზე, შემსყიდველი (დამოუკიდებელი ექსპერტის მეშვეობით) შეაფასებს ობიექტზე წარმოქმნილი დეფექტების აღმოფხვრის ხარჯს და მიმართავს წინასწარი ანგარიშსწორების (საავანსო) საბანკო გარანტიის გამცემ ორგანოს შესაბამისი თანხის გამოთხოვის თაობაზე. თუ დეფექტების აღმოსაფხვრელად საჭირო თანხა აღემატება წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებული სამუშაოების ღირებულების 2.5 %-ის ოდენობას პუნქტით გათვალისწინებულ თანხას, ასეთ შემთხვევაში შემსყიდველი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად დააკისრებს მიმწოდებელს დარჩენილ განსხვავებას.

7.14. იმ შემთხვევაში თუ, ხელშეკრულება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად შეწყდა ვადაზე ადრე და/ან მიმწოდებელი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში ვერ უზრუნველყოფს მომსახურების ან სამუშაოს შესრულებას და მხარეები ვერ შეთანხმდებიან ამ ვადის გაგრძელებაზე, მიმწოდებელი ვალდებულია შესაბამისი შეტყობინების გაგზავნიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში დააბრუნოს წინასწარ ავანსის სახით გადარიცხული თანხიდან შეუსრულებელი ვალდებულების პროპორციული ღირებულების შესაბამისი თანხა, წინააღმდეგ შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია გარანტიის მოქმედების პერიოდში მიმართოს გარანტიის გამცემ ორგანოს (გარანტს), ავანსის სახით გადარიცხული თანხის ფარგლებში მიმწოდებლის მხრიდან შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების პროპორციულად გათვალისწინებული თანხის დაბრუნებაზე, ასევე მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მიერ პირველივე მოთხოვნის წაყენებიდან არაუგვიანეს 10 კალენდარული დღის განმავლობაში დააბრუნოს არაუზრუნველყოფილი საავანსო თანხა (ასეთის არსებობის შემთხვევაში). ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებლის მიერ შესასრულებელი ვალდებულებების მოქმედების ვადა გრძელდება ვალდებულების სრულ შესრულებამდე.

8. მომსახურების ხარისხი და გარანტია

8.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ გაწეული საპროექტო მომსახურება იქნება უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო, არ გამოავლენს ხარვეზებს და შესრულებული იქნება მაღალხარისხოვნად, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია საკუთარი სახსრებით უზრუნველყოს გამოვლენილი ხარვეზის გამოსწორება.

8.2. სამშენებლო სამუშაოების დასრულების შემდეგ, შესრულებულ სამუშაოებზე დეფექტების პასუხისმგებლობის პერიოდი შეადგენს 365 დღეს საბოლოო მიღება ჩაბარების აქტით გათვალისწინებული სამუშაოთა დასრულების თარიღიდან.

9. საპროექტო დოკუმენტაციის საკუთრება

9.1. მიმწოდებლის მიერ მიწოდებული საპროექტო დოკუმენტაცია და ყველა სახის მასალა (გამოკვლევა, ანგარიშები ან სხვა მასალები, გრაფიკა, პროგრამული უზრუნველყოფა და სხვა დოკუმენტები) მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღიდან წარმოადგენს შემსყიდველის საკუთრებას.

10. ხელშეკრულების დაზღვევა

10.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია სამშენებლო სამუშაოების დაწყების დღიდან სამუშაოს მიწოდების საბოლოო ვადის დასრულებამდე შემსყიდველისა და მიმწოდებლის სასარგებლოდ დააზღვიოს ობიექტი:

10.1.1. <u>მინიმალური სადაზღვევო დასაფარი თანხა ობიექტის დაზიანების კომპენსაციისათვის შეადგენს არანაკლებ წინამდებარე ხელშეკრულების თანახმად სამშენებლო სამუშაოებითვის განსაზღვრილ თანხას, ობიექტის დაზღვევის</u> მოქმედების ვადა უნდა ფარავდეს დეფექტებზე პასუხისმგებლობის პერიოდს (365 დღეს საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტით გათვალისწინებული სამუშაოთა დასრულების თარიღიდან. (მაქსიმალური დასაკავებელი თანხა – 8,500 ლარი).

10.1.2. მინიმალური სადაზღვევო დასაფარი თანხა მიმწოდებლის მანქანა-დანადგარების დაზიანების ან დაკარგვის შემთხვევაში შეადგენს 50,000 ლარს (მაქსიმალური დასაკავებელი თანხა – 1,000 ლარი), რომლის მოქმედების ვადა უნდა ფარავდეს სამუშაოების მიწოდების ვადას.

10.1.3. მინიმალური სადაზღვევო დასაფარი თანხები მესამე პირთა საკუთრების დაზიანებისათვის შეადგენს 100,000 ლარს. (მაქსიმალური დასაკავებელი თანხა – 4,000 ლარი) რომლის მოქმედების ვადა უნდა ფარავდეს სამუშაოების მიწოდების ვადას.

10.1.4. მინიმალური სადაზღვევო დასაფარი თანხები მიმწოდებლის პერსონალის ტრამვისა და სიკვდილის შემთხვევაში შეადგენს 50,000 ლარს (მინიმუმ 5000 ლარს/კაცზე სამუშაოთა დაწყების თარიღიდან მათი დამთავრების თარიღამდე) და მესამე პირთა დაშავების ან სიკვდილის შემთხვევისათვის შეადგენს მინიმუმ 50,000 ლარს, რომლის მოქმედების ვადა უნდა ფარავდეს სამუშაოების მიწოდების ვადას.

10.2. მიმწოდებელი ვალდებულია სამშენებლო სამუშაოების დაწყებისთანავე წარუდგინოს შემსყიდველს საქართველოში რეგისტრირებული შესაბამისი საფინანსო ინსტიტუტების მიერ გაცემული სადაზღვევო პოლისი, რომელითაც დადასტურდება ხელშეკრულების 10.1. პუნქტით გათვალისწინებული ობიექტის დაზღვევა.

10.3. ხელშეკრულების 10.1. პუნქტში განსაზღვრული დაზღვევის ხარჯებს ფრანშიზის ღირებულების გათვალისწინებით დაფარვას საკუთარი სახსრებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

11. მხარეთა უფლებები

11.1. მიმწოდებლის უფლებები

11.1.1. მიმწოდებელს უფლება აქვს, ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.

11.2. შემსყიდველის უფლებები

11.2.1. შემსყიდველს უფლება აქვს აწარმოოს მიწოდებული მომსახურებისა და სამუშაოს ხელშეკრულებისა და მის დანართებთან, ასევე საპროექტო დოკუმენტაციით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის კონტროლი.

11.2.2. აუცილებლობის შემთხვევაში საკუთარი შეხედულებით, სამუშაოს ან მისი ეტაპის მიღებამდე სამუშაოების ხარისხის შესაბამისობის დადგენის უზურნველსაყოფად გამოიყენოს მოწვეული სპეციალისტი.

11.2.3. მოთხოვოს მიმწოდებელს მომსახურებისა და სამუშაოების მიწოდებისას დასაქმებული პერსონალის ან გამოყენებული მანქანა მექანიზმების რაოდენობის გაზრდა.

12. მხარეთა მოვალეობები

12.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

12.1.1. მიაწოდოს „შემსყიდველს“ საპროექტო მომსახურება და სამშენებლო სამუშაო ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნების განუხრელი დაცვით.

12.1.2. კეთილსინდისიერად და მაღალპროფესიონალურ დონეზე შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება;

12.1.3. დროულად განიხილოს შემსყიდველის მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

12.1.4. დროულად და საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს საპროექტო დოკუმენტაციის შეთანხმება ჩართულ მხარესთას.

12.1.5. დროულად და საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს დანართით N2 (ტექნიკური დავალება) გათვალისწინებული საექსპერტო მომსახურების ჩატარება.

12.1.6. უზრუნველყოს გამოვლენილი ნაკლოვანების აღმოფხვრა საკუთარი ხარჯით, შემსყიდველის მომართვიდან არსებული ნაკლოვანების აღმოფხვრისთვის საჭირო გონივრულ ვადაში.

12.1.7. გაავრცელოს შესრულებულ სამუშაოებზე გარანტია (დეფექტებზე პასუხისმგებლობის პერიოდი) წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაცვით.

12.1.8. დააზღვიოს შესყიდვის ობიექტი წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაცვით.

12.1.9. ამხანაგობაში შემვალი პირები ვალდებულნი არიან შეუზღუდავად, როგორც ერთობლივად

ასევე ცალ-ცალკე დამოუკიდებლად სრულად აიღონ პასუხისმგებლობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულებაზე.(გამოიყენება ამხანაგობის შემთხვევაში)

12.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია:

12.2.1. გამოყოფილი სახსრების უწყვეტი დაფარვის პირობებში უზრუნველყოს „მიმწოდებლის“ დროული და სრული დაფინანსება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

12.2.2. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის“ მხრიდან დასმული საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

12.2.3. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

13. ხელშეკრულების გათვალისწინებლი ვალდებულებების შეჩერება

13.1. ხელშკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეჩერება შესაძლებელია განხორციელდეს შემდეგი ობიექტური გარემოებებით:

13.1.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მიმწოდებელი წააწყდება ისეთ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, მან დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს წერილობითი შეტყობინება შემსყიდველს და ზედამხედველს, შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. ზედამხედველი იღებს არგუმენტირებულ გადაწყვეტილებას, ჩაითვლება თუ არა წარმოდგენილი გარემოებები ობიექტურად და აცნობებს ამის შესახებ შემსყიდველს.

13.2. შემსყიდველის დავალებით

13.2.1. ზედამხედველს უფლება აქვს მისცეს დავალება მიმწოდებელს სამუშაოების შეჩერებაზე პროექტის სპეციფიკიდან გამომდინარე.

13.3. ფორს-მაჟორის გამო

13.3.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს- მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას;

13.3.2. ამ მუხლის მიზნებისათვის ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი, ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და სამუშაოს მიწოდებისთვის საჭირო საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, ფინანსების წყაროს მკვეთრი შემცირებით და სხვა.

13.3.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

14. ხელშეკრულების პირობების დარღვევა

14.1. საჯარიმო სანქციები

14.1.1. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადების დარღვევის შემთხვევაში გადაუხადოს პირგასამტეხლო მიმწოდებელს შეუსრულებელი ვალდებულების 0.1 %-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

14.1.2. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას:

14.1.2.1. ხელშეკრულების დანართი N2 (ტექნიკური დავალება) გათვალისწინებული საპროექტო მომსახურების მიწოდების ეტაპების ვადის დარღვევის შემთხვევაში გადაუხადოს პირგასამტეხლო შემსყიდველს მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულების 0.1 % ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

14.1.2.2. სამშენებლო სამუშაოების მიწოდების საერთო ვადის დარღვევის შემთხვევაში გადაუხადოს პირგასამტეხლო შემსყიდველს შეუსრულებელი ვალდებულების 0,1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

14.1.3. წინამდებარე ხელშეკრულების 14.1.2.1 და 14.1.2.2. პუნქტებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს დაკისრების შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია დაკისრებული პირგასამტეხლო გამოქვითოს მიწოდებული მომსახურების ან სამუშაოს ღირებულებიდან.

14.1.4. პირგასამტეხლოს დარიცხვა ან გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

14.1.5. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან თუ ადგილი აქვს ხელშეკრულების ზოგადი პირობების მე-13 მუხლით გათვალისწინებულ ხელშეკრულების შესრულების შეჩერებას.

14.1.6. მხარეები ითვალისწინებენ, რომ ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია გამოიყენება მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის რისკის თავიდან ასაცილებლად და საბანკო გარანტიით გათვალისწინებული თანხის სრულად გამოთხოვა განხორციელდება წინამდებარე ხელშეკრულების 16.3 პუნქტით გათვალისწინებული პირობის დადგომის დროს, აღნიშნულის გათვალისწინებით ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტიით გათვალისწინებული თანხის შემცირება არ განხორციელდება დაკისრებული პირგასამტეხლოს სახით დაკისრებული თანხის პროპორციულად, დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდას (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიმწოდებელი უზრუნველყოფს დამატებით.

14.1.7. ამხანაგობაში შემვალი პირები ან შეუზღუდავად, როგორც ერთობლივად ასევე ცალ-ცალკე დამოუკიდებლად სრულად აგებენ პასუხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დროულად და ჯეროვნად შესრულებაზე.

15. სადაო საკითხების გადაწყვეტა

15.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

15.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

16. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფა

16.1. იმისათვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული რისკი, წარმოქმნილი “მიმწოდებლის” მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების შეუსრულებლობის გამო, “მიმწოდებლის” მიერ წარმოდგენილია სს თიბისი ბანკის მიერ 2019 წლის 21 ივნისს გაცემული შემსყიდველთან შეთანხმებული შინაარსის უპირობო და გამოუთხოვადი 84494,05 ლარის ღირებულების ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია #1705698-10532814.

16.2. იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებული გარემოებების დადგომისას, შეთანხმების შედეგად გაგრძელდა შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა, „მიმწოდებელი“ ვალდებულია წარმოადგინოს გაგრძელებული ვადის ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია, რომლის მოქმედების ვადა მინიმუმ 60 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს გაგრძელებულ ვადას.

16.3. იმ შემთხვევაში თუ წინამდებარე ხელშეკრულების 16.2. პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევის არსებობისას მიმწოდებელი ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის ვადის გასვლამდე 5 სამუშაო დღით ადრე არ ან ვერ წარმოადგენს წიანმდებარე ხელშეკრულების 16.2. პუნქტით გათვალისწინებულ გაგრძელებული ვადის ან ახალ საბანკო გარანტიას, ან მხარეები ვერ შეთანხმდებიან მიწოდების ვადის გაგრძელებაზე, ან ხელშეკრულება ვადამდე შეწყდება მიმწოდებლის ბრალეულობით, შემსყიდველი მიმართავს საბანკო გარანტიის გამცემ ორგანოს საბანკო

გარანტიით გათვალისწინებული თანხის სრულად გამოთხოვაზე. ამასთანავე საბანკო გარანტიით გათვალისწინებული თანხის შემცირება არ განხორციელდება წინამდებარე ხელშეკრულების თანახმად მიმწოდებლისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს პროპორციულად, დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდას მიმწოდებელი უზრუნველყოფს დამატებით წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

16.4. საბანკო გარანტია მიმწოდებელს დაუბრუნდება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებისას.

17. ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა მხარეები

17.1. ქვეკონტრაქტორ(ებ)ი

17.1.1. ხელშეკრულების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე „მიმწოდებელი“ უფლებამოსილია უზრუნველყოს მომსახურების მიწოდება ან სამუშაოს წარმოება ქვეკონტრაქტორ(ებ)ის მონაწილეობით.

17.1.2. ქვეკონტრაქტორ(ებ)ის მეშვეობით სამუშაოთა წარმების უფლების მიღება „მიმწოდებელს“ გააჩნია მხოლოდ შემსყიდველთან შეთანხმების საფუძველზე, აღნიშნული უფლების მისაღებად „მიმწოდებელმა“ უნდა წარმოადგინოს ქვეკონტრაქტორ(ებ)თან გაფორმებული ხელშეკრულება ქვეკონტრაქტით შესასრულებელი მომსახურების ან სამუშაოების შესახებ ინფორმაციის მითითებით.

17.1.3. შემსყიდველი უფლებამოსილია უარი განაცხადოს ქვეკონტრაქტორ(ებ)ის სამუშაოს შესრულების პროცესში ჩართვასთან დაკავშირებით.

17.1.4. ქვეკოტრაქორ(ებ)ის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით დამდგარ შედეგზე „შემსყიდველის“ წინაშე პასუხისმგებელია მხოლოდ „მიმწოდებელი“.

17.1.5. ქვეკოტრაქორ(ებ)ის მიერ შესრულებული სამუშაოს ან გაწეული მომსახურების მიწოდებას და შესაბამისად სამუშაოს ან მომსახურების ჩაბარებას უზრუნველყოფს „მიმწოდებელი“.

17.1.6. ქვეკოტრაქორ(ებ)ის მიერ შესრულებული სამუშაოს ან გაწეული მომსახურების ღირებულების ანგარიშსწორება განხორციელდება „მიმწოდებელთან“ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

17.2. უფლებების გადაცემა

17.2.1. „მიმწოდებელმა“ „შემსყიდველის“ წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს სხვა პირებს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები.

17.3. ბენეფიციარები

17.3.1. „შემსყიდველი“, საქართველოს კანონმდებლობაზე დაყრდნობით, ასრულებს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პროექტს ბენეფიციარის სასარგებლოდ.

17.3.2. <u>ბენეფიციარი, იღებს ვალდებულებას, ხელი შეუწყოს პროექტის განხორციელებას.</u>

17.3.3. <u>პროექტის ხელშეწყობის მიზნით, ბენეფიციარი გამოყოფს უფლებამოსილ წარმომადგენელს, როელიც უზრუნველყოფს დასრუებული ობიექტის მიღებას</u>

17.4. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული აქტივობებისათვის, ბენეფიციარი გამოხატავს თანხმობას საპროექტო მომსახურებისა და დეტალური პროექტის საფუძველზე სამუშაოს წარმოებაზე და იღებს ვალდებულებას, გადაიბაროს და ექსპლუატაცია გაუწიოს ამ ობიექტებს.

18. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა

18.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

18.2. წინამდებარე ხელშეკრულების ფასების შეცვლა დასაშვებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

18.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

18.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

19. ხელშეკრულების შეწყვეტა

19.1. ხელშეკრულება შეიძლება ვადაზე ადრე შეწყდეს“

19.1.1. მხარეთა შეთანხმებით:

19.1.2. შემსყიდველს ასევე შეუძლია ცალმხრივად მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება:

19.1.2.1. თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია შეასრულოს მომსახურების ან სამუშაოს ნაწილი;

19.1.2.2. თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

19.1.2.3. მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

19.1.2.4. არაობიექტური მიზეზით დანართით N2 (ტექნიკური დავალება) გათვალისწინებული მომსახურების თითოეული ეტაპის ვადების 10 კალენდარულ დღეზე მეტი ვადით დარღვევის შემთხვევაში.

19.1.2.5. მიმწოდებელი აჩერებს სამუშაოთა წარმოებას 10 დღეზე უფრო ხანგრძლივი დროით, მაშინ როდესაც ეს შეჩერება არ იყო ასახული კალენდარულ გრაფიკში და/ან არ იყო ნებადადართული შემსყიდველის მიერ;

19.1.2.6. სამუშაოთა ზედამხედველი გამოსცემს შეტყობინებას, რომ რომელიმე დეფექტის აღმოუფხვრელობა წარმოადგენს ხელშეკრულების არსებით დარღვევას და მიმწოდებელი ვერ შესძლებს ამ დეფექტის გასწორებას ზედამხედველის მიერ დასაბუთებულად დადგენილი დროის განმავლობაში;

19.1.2.7. მიმწოდებელი არ წარმოადგენს საექსპერტო დასკვნას, შეთანხმების დოკუმენტს ან დაზღვევის პოლისს;

19.1.2.8. თუ პროექტის განხორციელება ეკონომიკურად არაეფექტური გახდა შემსყიდველისთვის

19.1.2.9. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

19.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

20. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

20.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

21. განსაკუთრებული პირობები

21.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, რომელიც მხარეების მიერ ხელმოწერილია უფლებამოსილი წარმომადგენლების ელექტრონული ხელმოწერით ან/და დამოწმებულია კვალიფიციური ელექტრონული შტამპით.

“შემსყიდველის სახელით“	„მიმწოდებელის სახელით“
სსიპ საქართველოს მუნიციპალური	ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობა
განვითარების ფონდის აღმასრულებელი	"ელემენტ კონსტრაქშენ ენდ დიზაინ"
დირექტორი გიორგი შენგელია	თავმჯდომარე ლევან ბერაძე

2019.07.02
12:53:30
+04'00'